პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 291 (13983) | შაბათი, 16 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი—ვადამდე!

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მოწინავე მუშების — კომუნისტთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — სოციალისტური შრომის გმირი, ბრიგადირი ვ. ᲙᲐᲞᲘᲜᲐᲫᲕᲘᲚᲘ, ამწყობი ზეინკალი ი. ᲒᲔᲚᲐᲫᲕᲘᲚᲘ, ელექტროზეინკალთა ბრიგადირი გ. ᲛᲝᲘᲡᲔᲔᲕᲘ, ზეინკალთა ბრიგადირი ლ. ᲓᲔᲛᲔᲒᲠᲐᲫᲕᲘᲚᲘ, შეინსტრუმენტე ზეინკალი გ. ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბრიგადირი გ. ᲩᲐᲓᲣᲜᲔᲚᲘ, ელექტროზეინკალი მ. ᲓᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘ და ელექტრომონტიორი ვ. ᲛᲐᲚᲐᲙᲝᲕᲘ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის მტკიცე მეუღლეობისათვის

ПРАВДА

15 დეკემბრის მოწინავე

ᲩᲕᲔᲜᲘ პლანეტის ცხოვრება მწვავე ბრძოლით არის აღსავსე. საერთაშორისო ვითარება სერიოზულ საფრთხეს გვიქადის. მაგრამ სულ უფრო მტკიცედ მოქმედებენ ჩვენს დროში თანამედროვე განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები. ეს არის იმ ძალების კიდევ უფრო ზრდა, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური რეაქციისა და აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ხალხები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკის აგრესიას გმირი ვიეტნამის მიმართ, იმპერიალისტთა ბრიკებს ახლო აღმოსავლეთში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. ეს მარტოოდენ ისტორიის მკაცრი გაკვეთილებით როდია ნაკარნახევი. ახლა ევროპის მშვიდობას კვლავ მოელის საფრთხე, რასაც ქმნის რევანშისტული და მილიტარისტული კურსი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეებისა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ ძალებთან შეთანხმებით მოქმედებენ.

თავის მოკავშირეებთან ერთად სსრ კავშირი კვლავ მტკიცედ იბრძოლებს ევროპის მშვიდობისათვის, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნის ევროპის ხალხთა უშიშროებას, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა. ეს უაღრესად მკაფიოდ გასსაზღვრავს საბჭოთა კავშირის ბრძოლას და თანმიმდევრულ პოზიციას ერთერთ ძირეულ საკითხში, რომლისაც საარსებოდ დაინტერესებულია მთელი კაცობრობა.

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების მთავარი საწინდარია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს ძმური კავშირი და ურყევი ძალირება. ამას წინათ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტი პრაღაში. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებთან საუბრების დროს განხილული იყო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთი საკითხი.

დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში. დელეგაციას მეთაურობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი. მოლაპარაკების შედეგად კიდევ უფრო ვითარდება ძმური ურთიერთობა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, მჭიდრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის. ორივე ქვეყნის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ სავსებით ერთნაირი შეხედულებანი არიან თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებასა და საარსებო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზების განსაზღვრაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეული გუშინ მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლაე ჩაუშესკუს მეთაურობით.

მოძმე პარტიებისა და ქვეყნების ხელმძღვანელთა ვიზიტები და მოლაპარაკება დიდი მნიშვნელობის მოვლენებია. ისინი მოწმობენ სოციალისტურ სახელმწიფოთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას. ეს შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს ევროპის კონტინენტზე.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები აქტიურად ცდილობენ მიაღწიონ კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფას, მთელი ევროპის თანამშრომლობის მოწესრიგებას. მათ წამოაყენეს ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისა და დაძაბულობის შენელების კონსტრუქციული პროგრამა. ამ პროგრამას შეიცავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ბუკარესტის დეკლარაცია და კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციის განცხადება. ამ დოკუმენტებში კარგი საფუძველი ჩაეყარა ხალხთა ღონისძიებების გაერთიანებას ვითარების გაჯანსაღებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ამ კონტინენტზე.

მაგრამ ევროპის მშვიდობის მტრები განაგრძობენ თავიანთ ხრიკებს. საშიშ გეგმებს ადგენენ ნატოს სამხედრო ბლოკი და პოლიტიკოსები, რომლებიც ბრიუსელში შეკრებილან ამ აგრესიული ბლოკის მორიგ თავყრილობაზე. დაძაბულობის გამწვავებას იწვევს იმპერიალიზმის ხრიკები საბერძნეთში, სადაც პოლიტიკური კრიზისია და რომელსაც ღრღნის რეაქციული სამხედრო ხროვის ტერორისტული რეჟიმი.

მშვიდობიან მომავალს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მილიტარისტული და ნეონაცისტური ძალების მკვეთრი აქტივიზაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოთა მთავრობის ამასწინანდელი განცხადება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახლანდელი პოლიტიკური განვითარების ამ მეტად საშიშ მხარეების გამო.

ყველაზე რეაქციული და შოვინისტური ძალების თარეში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პირდაპირი პროდუქტია ბონის მრავალი წლის ოფიციალური პოლიტიკისა, რომელსაც საფუძვლად უდევს რევანშიზმი და მილიტარიზმი. ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია — ჰიტლერული პარტიის პირდაპირი მემკვიდრე — გამოვიდა დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ფენომენი ერთ-ერთ ადგილზე ბონის ახლანდელი მთავრობის დროს, რომელმაც დღემდე ვერ დაალწია თავი წინამორბედთა ავანტიურისტულ დებულებებს.

საბჭოთა მთავრობის განცხადება ქმედითი ზომებისა ევროპის უშიშროების განმტკიცებაში. იგი კვლავ მოწმობს საბჭოთა კავშირის ერთგულებას იმ იდეალებისადმი, რომლებიც გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ ხალხებს მათს წმიდათა წმიდა ბრძოლაში გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ, ცხადყოფს გულწრფელ ზრუნვას მშვიდობის შენარჩუნებისათვის ევროპასა და მთელ მსოფლიოში. იგი აძლიერებს ხალხთა სიფხიზლეს, მათს გადაწყვეტილებას დროზე აღკვეთონ რევანშისტული და ნეონაცისტური საფრთხის შემდგომი ზრდა დასავლეთ გერმანიაში, თავიდან ააცილონ ევროპას ახალი მძიმე განსაცდელი.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მტკიცე და თანმიმდევრულ კურსს — ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და ნეონაციზმის აღკვეთის კურსს. როგორც საერთაშორისო გამომპარეანი მოწმობენ, სსრ კავშირის ამ აქტიურ სამშვიდობო საქმიანობას მხურვალედ უჭერენ მხარს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხები, მთელი ევროპის ხალხთა ჯანსაღი ძალები.

საბჭოთა ქვეყანას, ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს საკმაო საშუალებანი აქვთ, რომ საგრეოების შემთხვევაში აღკვეთონ იმპერიალისტური და რევანშისტული ავანტიურები ევროპაში.

კოლექტიური უშიშროებისა და სრულიად ევროპის თანამშრომლობის საფუძველზე კონტინენტის მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ახალ, კიდევ უფრო ქმედითს ღონისძიებებს, ევროპის ხალხთა მთელი ძალების გაერთიანებას იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

საკლესიო ცნობა

მატარებელი რაკეტების დასახული გაშვების წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით სიდიადის დიალექტიკა, რომ წყნარი ოკეანის აკვატორიის, რაიონი 40 საზღვაო მილის რადიუსით, ცენტრის კოორდინატები ჩრდილოეთის განედის 32 გრადუსი და 15 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 173 გრადუსი და 42 მინუტი, რომელიც გამოცხადდა 1967 წლის 27 ნოემბერს, 1967 წლის 13 დეკემბრიდან თავისუფალია ზღვაოსნობისა და თვითმფრინავების ფრენისათვის.

მატარებელი რაკეტების დასახული გაშვების წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით, საიდუმლო დიალექტიკა იქმნა განცხადოს, რომ წყნარი ოკეანის აკვატორიის, რაიონი 40 საზღვაო მილის რადიუსით, ცენტრის კოორდინატები ჩრდილოეთის განედის 18 გრადუსი და 25 მინუტი და დასავლეთის გრძედის 178 გრადუსი და 30 მინუტი, რომელიც 1967 წლის 27 ნოემბერს დახურულად გამოცხადდა, 1967 წლის 15 დეკემბრიდან თავისუფალია ზღვაოსნობისა და თვითმფრინავების ფრენისათვის.

მეგობრული ვიზიტით

მოსკოვში ჩამოვიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

მოსკოვი, 14 დეკემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით დღეს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს რუმინეთის კომუნისტური პარტიის — ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაე ჩაუშესკუ.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ კიევის ვოგზალში რუმინელ სტუმრებს დახვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი.

მოლაპარაკება კრემლში

14 დეკემბერს კრემლში დაიწყო საბჭოთა ხელმძღვანელებისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. სუსლოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. შელეპინი** და სხვები.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ნიკოლაე ჩაუშესკუ,** რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტისა და მოძმიერი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იონ გეორგე მაურერი,** რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტისა და მოძმიერი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **გეორგე აპოსტოლი,** რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტისა და მოძმიერი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერული აკადემიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე **ალექსანდრუ ბირლადიანუ,** რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტისა და მოძმიერი პრეზიდიუმის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კო

თქვენს მარჯვენას უმაღლიან...

ამისაკ მძიმე ავადმყოფობა გამოოცდია. მან იცის, თუ რა დიდი იმედია ასეთ მომენტში ადამიანისათვის ექიმი. როგორ შეიძლება იმედის თელვინ არ შეეყურებდეთ იმას, ვის ხელშიც არის ჩვენი ბედი, ჩვენი სიცოცხლე... და რაოდენ უზომოა ჩვენი კმაყოფილება, როცა ამ იმედს არ გაგვიმტყუნებენ ჩვენი მკურნალები, გულისხმიერად გეპყრობიან, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ჩვენთვის. ხდება პირიქითაც: ზოგი ექიმი ზერელედ, უყურადღებოდ ეკიდება თავის მოვალეობას. არას დაგიდეთ ამის. რომ საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობას და თვით სიცოცხლეს.

მაგრამ ამჯერად გვინდა მეთხველებს მოვუთხრთთ მხოლოდ საეკეთესოებზე, ისეთ ექიმებზე, რომლებმაც იციან თავიანთი პროფესიის ფასი და პატიოსნად, ეთიკისინდისიერად ემსახურებიან ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

რედაქცია სისტემატურად იღებს წერილებს, რომელთა ავტორები თავიანთი მკურნალი ექიმებისადმი მადლობასა და ქმაყოფილებას გამოთქვამენ გულისხმიერებისათვის.

ექიმისადმი მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით არის გამბმარი სოფელ შატილში მცხოვრები **მ. გოგოლეურის** მიერ რედაქციაში გამგზავნილი წერილი. ეი რას იწერება ის:

„ამას წინათ სოფელ შატილში ყურეს ფრიალო კლდიდან ჩემი და. დაგორდა და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას სიცოცხლეს საფრთხე ელოდა. როგორც იქნა, დაშავებული სოფელ ხახმატამდე გადმოვიყვანეთ საკაცით. აქ უკვე საავტომობილო გზა იწყებოდა. დაიკოჯინირდით დუშეთის სასწრაფო დახმარების პუნქტს. მიტხეთავად დიდი თოფლისა. ავტომანქანამ შეძლო მოსულიყო ბარისახოში. აქედან მგზავრობა უფრო ძნელი გახდა. ძანქანა ყინულზე ცურავდა, როცა მანქანის სვლა შეუძლებელი გახდა, ახალგაზრდა ქირურგმა **ეკბალ ანაშვილმა** მძიმოლის ოთხრა გაჩერებულიყო და მთელი ხეთი კილომეტრი ღრმა თოვლში ფეხით იარა.

ეკ. ინაშვილმა ავადმყოფს პირველი დახმარება აღმოუჩინა. შემდეგ თვითონ დაგვეხმარა მანქანამდე მის ჩამოყვანაში და გთხოვებისას მივალწიეთ დუშეთს. აქ ქირურგმა ყველაფერი გააკეთა და მალე ჩემი და გამოჯანმრთელდა. სხვისი სიცოცხლისათვის ასეთი თავდადებისა და გულისხმიერებისათვის უღრმესი მადლობა ექიმს“.

„ავადმყოფობამ თბილისის № 1 ტუბსაავადმყოფოში მოაგვედრა ჩემი ძმა ბ. მაჭუტაძე, — ნათქვამია გორის რაიონის სოფელ დიცის მცხოვრებ **ს. მაისურაძის** წერილში, — უიმედო ავადმყოფი იყო იგი. მაგრამ საავადმყოფოს მთელი კოლექტივის განსაკუთრებულმა გულისხმიერმა დამოკიდებულებამ ავადმყოფი გაამხნევა, ცოტა მომჯობინდა, შემდეგ პროფესორმა **აბაშიძემ** და ექიმმა **გამკაძემ** ფილტვის ოპერაცია გაუკეთეს. ახლა ჩემი ძმა გამოჯანმრთელების მტკიცე გზაზე დგას. საავადმყოფოში ბევრი მნახველი ვნახე, ისინი იყვნენ სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, თანამდებობის ადამიანები. პატიეცემული პროფესორი ერთნაირი ყურადღებით ეპყრობოდა ყველას, ტაბელი საუბრით, დამშვიდებელი ახსნა-განმარტებით ამხნევებდა მათ. პირადად ჩემი მდგომარეობა უიმედო იყო. აუცილებელი აღმოჩნდა თირკმლის ამოკვეთა. პროფესორის მარჯვენამ ეს ბრწყინვალედ შესრულა. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. თავს კარგად ვგრძნობ. მადლობა ღმერთს, პროფესორო. დიდხანს იცოცხლეთ ხალხის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ“.

„ხანგრძლივმა ავადმყოფობამ რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მომახვედრა. — ნათქვამია გორელი **ო. ჯაბიეთის** წერილში, — საავადმყოფოში დიდხანს დავყავი. ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება ის გულისხმიერება და სითბო, რომლითაც პროფესორი **ა. გზირიშვილი** ეპყრობოდა ავადმყოფებს. ჩემი საავადმყოფოში ყოფნის დროს მრავალმა ავადმყოფმა გაიარა პროფესორის ხელში. ცხადია, ისინი იყვნენ სხვადასხვა ეროვნებისა ლანი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: დაუვიწყარი იქნება ის გულისხმიერება და სითბო, რომლითაც საავადმყოფოს მთელი კოლექტივი ეპყრობა ავადმყოფებს.

დაილოცოს თქვენი მარჯვენა, ძვირფასო ექიმებო! თქვენგან ჯანმრთელობადაბრუნებული ადამიანების რიცხვი იმდენად დიდია, რომ თქვენი მადლი არასოდეს არ დაიკარგება“.

„ხანგრძლივმა ავადმყოფობამ რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მომახვედრა. — ნათქვამია გორელი **ო. ჯაბიეთის** წერილში, — საავადმყოფოში დიდხანს დავყავი. ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება ის გულისხმიერება და სითბო, რომლითაც პროფესორი **ა. გზირიშვილი** ეპყრობოდა ავადმყოფებს. ჩემი საავადმყოფოში ყოფნის დროს მრავალმა ავადმყოფმა გაიარა პროფესორის ხელში. ცხადია, ისინი იყვნენ სხვადასხვა ეროვნებისა მრთელი დავიბრუნდი ოჯახსა და წარმოებას.

ძვირფასო ექიმებო! დიდი მადლობა ჩემი ბადარჩენისათვის. ბედიდან თქვენს მადლიან მარჯვენას“.

„სამოც წელს გადაცილებული კაცი ვარ და ავად არასოდეს არ ყოფილვარ. გული მერჩოდა და მუხლი მეკრიდა. შრომაში ახალგაზრდებსაც არ ჩამოვუვარდებოდი. მაგრამ უცებ თავბრუს ხვევა ვიგრძენი. მუხლებში ძალა გამომელია, ფეხზე დადგომა მიჭირდა. ავადმყოფობას ერთხანს არ შეეეპუე, თავს ძალა დავატანე. მაგრამ ამაოდ. გამოჯანმრთელების ყოველგვარი იმედი დაკარგე. მარჩიეს თბილისში წავსულიყავი და მენახა პროფესორი **ა. მინდაძე.** რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ნეიროული სნეულების განყოფილებაში ვნახე ეს კეთილშობილი ადამიანი. დაკვირვებით გამსინჯა, მერე ეოლაცას უბრძანა პალატაში დავეწყვინე. ყოველ-დღე შემოდიოდა. მაკვირდებოდა, მკურნალობაც დამმინშნა. მალე ჯანმე მოვედი, ფეხზე დავდექი. თავისუფლად გავიარე. არასოდეს არ დამავიწყდება ეს ღვთისნიერი ექიმი, მუდამ მადგია ვიქნები მისი კეთილყოფნისა“. ამ წერილს გვწერს წნორიდან **შ. თამაზა-შვილი.**

ჩვენს წინ არის თბილისელი ცხოვრებოვის წერილი. ის გვწერს:

„სამეურნეოდ **სანატორიუმ** „სურამში“ წავედი. ბევრი ბანდეგი ადამიანი ცუდად გვრძნობდი. სანატორიუმის ექიმმა ეერფერი გაიწყეს და სასწრაფოდ ბაზრის რაიონსა ერთ საავადმყოფოში გადმიყვანეს. თერაპიული განყოფილების ექიმებმა **დ. ეერხუაშვილმა, კ. მჭედლიშვილმა, რ. აბრამიანმა,** ექთანებმა **ე. ტყემალაძემ** და **თ. ლაცაბიძემ** დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს ჩემდამი. 20 დღე არ მოსცილებიან ჩემს სასთუმალს. ისინი ოჯახის წევრივით მიეღიდნენ, ცოდნა და ენერგია არ დაეშურებიათ ჩემი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. მე მათგან დიდად დავალებული ვარ და მუდამ **მათ** შრომისა და მარჯვენის მლოცველი ვიქნები“.

„გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთიდან ლუშეთში სასწრაფო დეპეშა მივიღეთ, — გვწერს **ა. კახიძე,** — რომლითაც შეეიტყე, რომ ჩემი მოხუცი მამა მწვავე მუცლის ტკივილით საავადმყოფოში გადაუყვანიათ. ამ ამბავმა მწარედ დამაღონა. ვიფიქრე, მშობელ მამას ცოცხალს ვეღარ ჩავეხვევიდი. ეს ამან მაფიქრებინა. რომ მას სახლში ჩემს მეტი გულშემატკივარი და მეპატრონე არავინ ჰყავს.

კაჭრეთის საავადმყოფოში შეეედი. თვალში მომხვდა სისუფთავე, ეგრძნობდა სიწყნარე. ხოლო მედპერსონალის მხიარული სახეები და მათი მომსალმებისადმი თავაზიანი მოპყრობა აშკარად მეტყველებდა. იმაზე, რომ იქ ყოველ ავადმყოფს დიდი პატრნები ჰყავს. ჩემი მოხუცი მამის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ცოდნა და ენერგია არ დაუზოგავთ ექიმებმა **ა. გოგილაშვილს** და მთელი ქირურგიული განყოფილების მუშაკებს. დიდი მადლობა ყველას“.

„რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი **ციხანა ლომიძე-მაცუკატოვა** დაიწვინეს, გაწერეს **ნიკო ლომიძე,** — იგი ძალზე ფერმკრთალი იყო. როცა ყოველგვარი ანალიზები აიღეს, მათთვის უკვე ნათელი იყო, რომ ორგანიზმში ადგილი ჰქონდა სისხლის დაკარგვის ფარულ ფორმას. სისხლის **გადასხმა** დაუნიშნეს, მარჯვა სახალგაზრდა ქირურგმა **გ. გონჯილაშვილმა,** რომელმაც მაღალი ქირურგიული ოსტატობით გაკეთა ოპერაცია. ავადმყოფის კუჭის გასაგალთან აღმოაჩინეს დიდ წყლული. ახლა ოთხი შვილის დედა ციხანა თავს კარგად გრძნობს, სამშობლოს ოთხ შვილს უზრდის და ყოველდღე ლოცავს კეთილ ექიმების მარჯვენას“.

რედაქციის ფოსტაში ექიმებისადმი მადლობის კიდევ მრავალი წერილია. **კ. ჯანელიძის, გ. ცქიფურიშვილის, ხ. ხორნაულის, რ. ბაბაკიშვილის, მ. ფინოგენოვის, ც. შელაფის, რ. ღურწკაიას, ა. გასპარიანის, ო. მენაბდის, შ. კალანდაძის, ა. ბაგრამოვის, ც. ბოგოძის, ნ. კაკოშვილის, შ. გურეშიძის, ნ. ჯოჯუას, რ. გაფრინდაშვილის, ვ. დათუაშვილის, ნ. მაკაცარიას, ზ. პაპიაშვილის, ა. ყიყიშვილის, გ. ჭადუგიშვილის, ნ. კიკნაძის, შ. ჯინჭარაძის, ი. ტუღუშის, მ. აგრესიტის** წერილებში სიყვარულის, მადლიერების გრძნობით არიან მოხსენებულნი თელავის რაიონული საავადმყოფოს ქირურგი **ა. ბეიტრიშვილი,** თბილისის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექიმები **კ. გურგენიძე** და **ც. მალრაძე,** დუშეთის რაიონიანი საავადმყოფოს ქირურგი **კ. წიკლაური,** მარნეულის რაიონიანი საავადმყოფოს ექიმი **ტ. სანებლიძე,** თბილისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს პროფესორი **ა. გზირიშვილი** და **ნ. ფირცხალაიშვილი,** აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების კოლექტივი, თბილისის მესამე საავადმყოფოს ექიმი **უ. წიკლაური,** თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმები **ე. ბეგბეჰკორი** და **ე. მაისურაძე,** სამტრედიის რკინიგზის საავადმყოფოს კოლექტივი, თბილისის მეორე სამშობიარო სახლის თანამშრომელი **ბ. ბიბილეიშვილი,** ფოთის ყელ-ყურის ექიმი **ტყეულში,** თბილისის პირველ საავადმყოფოსთან არსებული ჩიყვის განყოფილების ექიმი **თ. ხუროძე,** სარჩხრის რაიონის სასწრაფო დახმარების კოლექტივი, თბილისის თვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი **ე. გოგვაძე,** თბილისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მეორე თერაპიული განყოფილების ექიმი **პ. ცხვედაძე,** თბილისის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროფესორი **ვ. კიკნაძე** და ექიმი **ბ. იაშვილი.** მათი რჩევით ავადმყოფი გადაიყვანეს ზემოხსენებული ინსტიტუტის ქირურგიულ განყოფილებაში. ავადმყოფის გამოკვლევა თავიდან დაიწყო. მედიცინის ყველა მიღწევები გამოიყენეს, მაგრამ ავადმყოფს სასიკეთო არაფერი ემჩნეოდა. ბოლოს ყველა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ავადმყოფისათვის გაეკეთებინათ ოპერაცია.

გამორტებელი დადიოდა მეუღლე რუსთავსა და თბილისში. უდედოდ მიტოვებულ ბავშვებს ნუგეშსა და სითბოს არ აკლებდა. მაგრამ დედის სითბო და ალერსი სულ სხვაა. დედა ხომ შეედარებელი მზეა, რომელიც სითბოს არ აკლებს შვილებს და გზას უნათებს მომავლისაკენ.

სიკვდილთან **ორთაბრძოლაში** გაიმარჯვა ახალგაზრდა ქირურგმა **გ. გონჯილაშვილმა,** რომელმაც მაღალი ქირურგიული ოსტატობით გაკეთა ოპერაცია. ავადმყოფის კუჭის გასაგალთან აღმოაჩინეს დიდ წყლული. ახლა ოთხი შვილის დედა ციხანა თავს კარგად გრძნობს, სამშობლოს ოთხ შვილს უზრდის და ყოველდღე ლოცავს კეთილ ექიმების მარჯვენას“.

რედაქციის ფოსტაში ექიმებისადმი მადლობის კიდევ მრავალი წერილია. **ჯ. ჯანელიძის, გ. ცქიფურიშვილის, ხ. ხორნაულის, რ. ბაბაკიშვილის, მ. ფინოგენოვის, ც. შელაფის, რ. ღურწკაიას, ა. გასპარიანის, ო. მენაბდის, შ. კალანდაძის, ა. ბაგრამოვის, ც. ბოგოძის, ნ. კაკოშვილის, შ. გურეშიძის, ნ. ჯოჯუას, რ. გაფრინდაშვილის, ვ. დათუაშვილის, ნ. მაკაცარიას, ზ. პაპიაშვილის, ა. ყიყიშვილის, გ. ჭადუგიშვილის, ნ. კიკნაძის, შ. ჯინჭარაძის, ი. ტუღუშის, მ. აგრესიტის** წერილებში სიყვარულის, მადლიერების გრძნობით არიან მოხსენებულნი თელავის რაიონული საავადმყოფოს ქირურგი **ა. ბეიტრიშვილი,** თბილისის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექიმები **კ. გურგენიძე** და **ც. მალრაძე,** დუშეთის რაიონიანი საავადმყოფოს ქირურგი **კ. წიკლაური,** მარნეულის რაიონიანი საავადმყოფოს ექიმი **ტ. სანებლიძე,** თბილისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს პროფესორი **ა. გზირიშვილი** და **ნ. ფირცხალაიშვილი,** აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების კოლექტივი, თბილისის მესამე საავადმყოფოს ექიმი **უ. წიკლაური,** თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმები **ე. ბეგბეჰკორი** და **ე. მაისურაძე,** სამტრედიის რკინიგზის საავადმყოფოს კოლექტივი, თბილისის მეორე სამშობიარო სახლის თანამშრომელი **ბ. ბიბილეიშვილი,** ფოთის ყელ-ყურის ექიმი **ტყეულში,** თბილისის პირველ საავადმყოფოსთან არსებულ ჩიყვის განყოფილების ექიმი **თ. ხუროძე,** სარჩხრის რაიონის სასწრაფო დახმარების კოლექტივი, თბილისის თვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი **ე. გოგვაძე,** თბილისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მეორე თერაპიული განყოფილების ექიმი **პ. ცხვედაძე,** თბილისის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროფესორი **ი. აკობია,** თბილისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი, პროფესორი **მ. კოპახიძე,** ბენდიტრის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარი ექიმი **რ. ლაბაძე,** თბილისის ბავშვთა პირველი საავადმყოფოს ქირურგი **უ. რუსაძე,** თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე **გ. ნაცვლიშვილი,** ექიმი **ნ. სმოლინა** და მრავალი სხვა.

ხალხის სიყვარულსა და მადლიერებაზე უფრო დიდი ჯილდო და შეფასება რა უნდა იყოს ექიმისათვის, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის იღვწის და შრომობს.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვ. ი. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ
სახალხო არტისტის:

1. **ფალიაშვილს** ლეონ პეტრეს-ძეს — პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.
2. **შიუკაშვილს** ვანდა ნიკოლოზის ასულს — პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

საქართველოს სსრ
ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწის:

1. **ახობაძეს** ვლადიმერ ბესარიონის-ძეს — დოცენტს.
2. **ბოკუჩავას** ნიკოლოზ ვარლამის-ძეს — პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.
3. **გაჩეჩილაძეს** გივი შალვას-ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.
4. **ეკსანიშვილს** ელეონორა გრიგოლის ასულს — დოცენტს.
5. **ჯაჩნაძეს** მარგარიტა აქსელის ასულს — დოცენტს.
6. **ვახტანგოვს** რობერტ ტიგრანის-ძეს — უფროს მასწავლებელს.
7. **ლორთქიფანიძეს** გიორგი ირაკლის-ძეს — კონსერვატორიის პროორექტორს.
8. **ტორაძეს** გულბათ გრიგოლის-ძეს — უფროს მასწავლებელს.
9. **ქართველიშვილს** გულნარა პეტრეს ასულს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.
10. **ყანჩელს** მიხეილ ალექსანდრეს-ძეს — დოცენტს.
11. **ძიძიგურს** ელენე სტეფანეს ასულს — პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

საქართველოს სსრ
დამსახურებული
არტისტის:

1. **დიმიტრიადი-ხარაძეს** ნანა ოდისეის ასულს — უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი, 1967 წლის 15 დეკემბერი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ ღვინის ქარხნების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მეღვინეობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **თბილისის პირველი ღვინის ქარხანა** — დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით.
2. **წინანდლის ღვინის ქარხანა** — დაარსების 80 წლისთავთან დაკავშირებით.
3. **მუკუზნის ღვინის ქარხანა № 1** — დაარსების 80 წლისთავთან დაკავშირებით.
4. **ნაფარეულის ღვინის ქარხანა** — დაარსების 75 წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

ქ. თბილისი, 1967 წ. 14 დეკემბერი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ღვინის წარმოების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბენდიაშვილი** ვლადიმერ ტარიელის-ძე — „სამტრესტის“ თბილისეს № 1 ღვინის ქარხნის დირექტორის მოადგილე.
2. **ბერიძე** ვალიოზ ალექსანდრეს-ძე — „სამტრესტის“ თბილისის № 1 ღვინის ქარხნის საამქროს უფროსი.
3. **ბლუაშვილი** ზურაბ პლატონის-ძე — „სამტრესტის“ ნათარეულის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე.
4. **გიორგობაძანი** შოთა ვლადიმერის-ძე — „სამტრესტის“ წინანდლის ღვინის ქარხნის მთავარი ინჟინერის მოადგილე.
5. **გულისაშვილი** ელიზბარ მიხეილის-ძე — „სამტრესტის“ წინანდლის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე.
6. **გურგენიშვილი** გივი იოსების-ძე — „სამტრესტის“ ნათარეულის ღვინის ქარხნის მთავარი მექანიკოსი.
7. **დათუნაშვილი** გიორგი გიორგის-ძე — „სამტრესტის“ მუკუზნის № 1 ღვინის ქარხნის მეშა.
8. **თუშმალიშვილი** ზურაბ გრიგოლის-ძე — „სამტრესტის“ ნათარეულის ღვინის ქარხნის ინჟინერი.
9. **კანდელაკი** გორი დავითის-ძე — „სამტრესტის“ თბილისის № 1 ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე.
10. **მაისურაძე** შალვა ალექსის-ძე — „სამტრესტის“ მუკუზნის № 1 ღვინის ქარხნის მეღვინე.
11. **მგალობლიშვილი** კონსტანტინე ივანეს-ძე — „სამტრესტის“ თბილისის № 1 ღვინის ქარხნის ოლქექიმი ექიმი.
12. **მეგუთნიშვილი** მალეიკა გიორგის ასული — „სამტრესტის“ წინანდლის ღვინის ქარხნის მეშა.
13. **მეგუთნიშვილი** ვაჟბოლ რევაზის-ძე — „სამტრესტის“ წინანდლის ღვინის ქარხნის საამქროს უფროსი.
14. **ნიკოლაიშვილი** გივი ვასილის-ძე — „სამტრესტის“ თბილისის № 1 ღვინის ქარხნის საამქროს უფროსი.
15. **პაპუნაშვილი** შოთა იოსების-ძე — „სამტრესტის“ ნინარეულის ღვინის ქარხნის დირექტორი.
16. **ეფენტი** ნიკოლოზ მელქისედეკის-ძე — „სამტრესტის“ თბილისის № 1 ღვინის ქარხნის დირექტორი.
17. **სხირტლაძე** ზურაბ ისტატის-ძე — „სამტრესტის“ მუკუზნის № 1 ღვინის ქარხნის საამქროს უფროსი.
18. **უთიაშვილი** არჩილ ბესარიონის-ძე — „სამტრესტის“ წინანდლის ღვინის ქარხნის დირექტორი.
19. **ყარამანიშვილი** ბაბილინა გრიგოლის ასული — „სამტრესტის“ თბილისის № 1 ღვინის ქარხნის ლაბორატორიის გამგე.
20. **შავგულიძე** ვალერიან ილიას-ძე — „სამტრესტის“ მუკუზნის № 1 ღვინის ქარხნის დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

ქ. თბილისი, 1967 წ. 14 დეკემბერი.

ᲛᲘᲡᲘᲜ ᲘᲨᲠᲐᲛᲝᲓᲜᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲮᲚᲝᲛᲝᲬᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მართალი ქალი



1918 წელი. გაზაფხული საქართველოს მთა-ბარს ზუმუსტანიფრად მოსავდა, მზე არაჩვეულებრივად უცინოდა ედედამიწას. აქა-იქ იმედიანი სიმღერაც გაისმოდა, მაგრამ კაკ-გუთნის სახელურს ხელჩაჭიდებული გლეხისათვის ჯერაც არ გათენებულიყო. ხალხი საკუთარი გამოდილებითთანდათან რწმუნდებოდა ბოლშევიკების სიმართლეში. საქართველოში მენშევიკების საწინააღმდეგო აჯანყების კოცონები ინთებოდა.

ოზურგეთის მაზრის სოფელი ასკანაც გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი იყო. აქ ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია ედგა უკინოდა ვედგამიწას. ბაბვის წყლის ხაპრის მაღალ სერზე ცხოვრობდა ერთი გამრჯე, მშრომელი კაცი, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე ალექსანდრე ბეკანის-ძე სიამაშვილი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით. გიორგის ჯერის კაკალური ალ. სიამაშვილი დემობილიზაციის შემდეგ მამა-პაპურ მიწაზე დასახლდა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. მან და მისმა მეუღლემ მატრონე ეგრალიძემ რვა შვილი აღზარდეს. შვილებმა ცხოვრების სწორი გზა აირჩიეს: ეპიფანე, ანდრო, შოთა, ლეგანი, ლუბა და ანეტა კომუნისტური პარტიის წევრები გახდნენ.

იმ მწუხარე გაზაფხულის ჟამს ალ. სიამაშვილის ოჯახს რამდენჯერმე მოულოდნელად ეწვივნენ დაუპატიჟებელი სტუმრები — მენშევიკური მთავრობის აგენტები. ისინი ჩხრეკდნენ კარიდამამს, ეძებდნენ იმ დროს უკვე ცნობილ ბოლშევიკებს ეპიფანე და ანდრო სიამაშვილებს.

ბოლშევიკ ანდრო სიამაშვილს მნიშვნელოვანი ლვაწლი მიუძღვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაა და განმტკიცების საქმეში.

ა. სიამაშვილი დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ასკანაში 1895 წლის ივლისში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ბიძამ ირაკლი ასალო-ძე ებრალიძემ იგი 1908 წელს ხაშურის რკინიგზის სასწავლებელში მიიბარა. ი. ებრალიძე იმ დროს განაგებდა სასტამბოსა და რესტორან „ქუთაისს“, რომელიც მოწინავე ინტელიგენციის ერთ-ერთი შესაკრები ადგილი იყო ხაშურში. ამ სასტუმროში მრავალგზის შეუფარებიათ თავი მენშევიკური მთავრობის მიერ დევნილ კომუნისტებს. ეს ფაქტი მოწმობს, თუ რისთვის სჭიდებდათ იმპერიალისტებს საზღვარგარეთის სამხედრო ბაზები, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ტ. ფედორენკომ.

საბჭოთა წარმომადგენელმა მბარი დაუჭირა უნგრეთის წინადადებას იმის შესახებ, რომ დაევალოს ყველა ქვეყანას ზუსტად დაიცვან ეენევის ოქმი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ, მან დაგმო ამერიკელი აგრესორები, რომლებიც მომწამვლელ ნივთიერებებს იყენებენ ვიეტნამში.



საფრანგეთის ალპებშია განლაგებული ქ. გრენობლი, სადაც 1968 წლის თებერვალში გაიმართება ზამთრის X ოლიმპიური ასპარეზობა.

სურათზე: გრენობლის ხედი. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი. შაბათი, 16 დეკემბერი, 1967 წ.

საერთაშორისო ცხოვრება

საბერძნეთის ამბები

ათენი, 15 დეკემბერი. (საკდესი). კონტრგადატრიალების ცდასთან დაკავშირებით ათენში აპატიმრებენ მაღალი წოდების გადამდგარ ოფიცრებსა და მემარჯვენე პოლიტიკურ მოღვაწეებს. ვარაუდობენ, რომ დაპატიმრეს აგრეთვე პოლიციისა და უანდარმერიის ზოგიერთი ოფიცერი. დღემდე არავინ არ იცის, თუ რა ბედი ეწია ბაზოგადოებრივი წესრიგის უოფელ მინისტრს ტატომოსს.

ვარაუდობენ, რომ სამხედრო ხუნტის ლიდერები ახლა ცდილობენ სრული კონტროლი დაუწესონ შეიარაღებულ ძალებს და არმიიდან დაითხოვონ როიალისტ ოფიცერთა ნაწილი.

მეცნიერთა აღმოჩენა

ვაშინგტონი. 15 დეკემბერი. (საკდესი). კალიფორნიის სტენფორდის უნივერსიტეტის ბიოქიმიკოსებმა გამოაცხადეს, რომ პირველად მიიღეს ხელოვნურად ისეთი მოლეკულა, რომელსაც სავსებით შეუძლია შეცვალოს ბუნებრივი მოლეკულის ბიოლოგიური მოქმედება ცოცხალ ორგანიზმში. მეცნიერებმა განაცხადეს, რომ „მეტად მიუახლოვდნენ ლაბორატორიაში სიცოცხლის შექმნას“ იმით, რომ ხელოვნურად მიიღეს ვირუსის „ცოცხალი“ გენეტიკური ნივთიერება — დეზოქსირიბონუკლეინის სიმჟავე.

ეს მეცნიერული მიღწევა გუშინ აქ გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმაც, რომელმაც თქვა, რომ ამერიკელ მეცნიერთა ეს აღმოჩენა „საოცარი წარმატებაა“.

საავადმყოფოს ამბავი

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ (პოლიტიკურ) კომიტეტში დამსწრე ქვეყნებს მოუწოდა გაეტქმინ სამხედრო ბაზები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, იბრძოლონ მიწისქვეშა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სრულიად ეწევა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვისა და სამხრეთ-ვიეტნამელი პატრიოტების ხოცვა-ჟლეტისათვის ამერიკა იყენებს თავის ბაზებს ტაილანდში, ოკინავაზა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ტერიტორიებზე. ეს ფაქტი მოწმობს, თუ რისთვის სჭიდებდათ იმპერიალისტებს საზღვარგარეთის სამხედრო ბაზები, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ტ. ფედორენკომ.

